თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №5923945

ნომერი: AR1892396

თარიღი : 11.04.2022

გაცემის თარიღი : 03.05.2022

გაცნობის თარიღი : 04.05.2022

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლუბლიანას ქუჩა N36ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მონიკა რუხაძე პ/ნ 42001021045
- თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. II კვ. კორ. 9ა ბ. 27

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 მარტის №5836787 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2022 წლის 11 აპრილს №AR1892396 განცხადებით მომართა მონიკა რუხაძემ და მოითხოვა სამსახურის 2022 წლის 7 მარტის

№5836787 ბრძანებაში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინფორმაციასთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2022 წლის 8 თებერვლის №5795584 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ლუბლიანას ქუჩა №36ბ-ში მდებარე №01.13.01.018.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2022 წლის 7 მარტის №5836787 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2022 წლის 7 მარტიდან 2024 წლის 7 მარტის ჩათვლით.
წინამდებარე, განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2022 წლის 7 მარტის №5836787 ბრძანებაში ცვლილების შეტანას, კერძოდ განმარტავს რომ მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ის ველში მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ თამარა ჭუბაბრიას (პ/ნ: 62007000885) ნაცვლად უნდა დაფიქსირდეს შპს „მ.დ.კ+“ (ს/ნ: 400192689), ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, დღევანდელი მდგომარეობით, წარმოადგენს შპს „მ.დ.კ+“ (ს/ნ: 400192689).
საჯარო რეესტრი ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: №882022198436, მომზადების თარიღი: 30/03/2022 წ.) თანახმად, №01.13.01.018.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენს შპს „მ.დ.კ+“ (ს/ნ: 400192689). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის თანახმად, (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: №B21117396, მომზადების თარიღი: 24/11/2021 წ.) შპს „მ.დ.კ+“-ს (ს/ნ: 400192689) ხელმძღვანელობა / წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს - მერაბ დვალი (პ/ნ: 01020007280), ხოლო მის მიერ გაცემული მინდობილობით დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, დღევანდელი მდგომარეობით, №01.13.01.018.122 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მ.დ.კ+“ (ს/ნ: 400192689), რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელიც სამსახურს მომართავს მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ის ველში მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ინფორმაციის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ 2022 წლის 7 მარტის №5836787 ბრძანებაში ცვლილების შეტანას და მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ის ველში მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ „მ.დ.კ+“-ს (ს/ნ: 400192689) დაფიქსირებას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 მარტის №5836787 ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში და „მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ის” ველში მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ, თამარა ჭუბაბრიას (P/N: 62007000885) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „მ.დ.კ+“ (ს/ნ: 400192689).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 მარტის №5836787 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 7 მარტის №5836787 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში